პროლეტარიელნო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ შრომელთა დეპუტატთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 29-ე წელი

პარასკევი, 4 ივნისი, 1948 წ. № 110 (8154). ფასი 20 კაპ.

მივცეთ საბჭოთა სამშობლოს მეჯი აბრეშუმის პარკი

მეაბრეშუმეობა საქართველოს მრავალფეროვანი სოფლის მეურნეობის მნიშვნელოვანი დარგია. ჩვენი მეაბრეშუმეები წლითიწლობით სულ უფრო მეტ ნედლეულს აძლევენ საბჭოთა სამშობლოს. 1946 წლიდან დაწყებული, საქართველო ყოველწლიურად გადაბრებდით ასრულებს ^ მთავრობის დავალებებს აბრეშუმის პარკის დაშზადების დარგში. ახლა მეაბრეშუმეობის მეშაოთა წინაშე დგას საბრძოლო ამოცანა — მიმდინარე წელს ქვეყანას მისცეს 3.450 ტონა აბრეშუმის პარკი ანუ 200,8 ტონით მეტი შარშანდელ ფაქტიურ რაბარებასთან შეფარდებით. ეს ამოცანის შესრულების გადამწყვეტი მომენტი დადგა. აბრეშუმის ჭია ძირითადად მეოთხე და მეხუთე ასაკებია. კიდევ ათი-თორმეტი დღე, და პარკის დამზადება მასობრივად დაიწყება.

კოლმეურნეებმა ქისტაფულ მეაბრეშუმეთა შესანიშნავი მეთოდის გამოყენებით საგრძნობლად შეამცირეს ჭიის გამოკვების დრო და უხვი მოსავალი მოიყვანეს. ახალი მოსავალი მთელ საქართველოში სახელმწიფოს პირველმა ჩაბარა ქუთაისის რაიონის სოფელ ფარცხანაყანევის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრმა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა მარგალიტა კიკვაძემ, რომელმაც ნახევარი კილოდენი თესლეფიზე მიიღო 70 კილოგრამი მაღალი ხარისხის პარკი. ამავე სოფლის ორკოლიკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრმა ფაცია მამაგაფშვილმა 4 გრამი აბრეშუმის თესლოდან მიიღო და სახელმწიფოს ჩაბარა 41 კილოგრამი აბრეშუმის პარკი, გვიან შესარულა 250 პროცენტით. წუწუკიძელმა მეაბრეშუმემ, კოლმეურნე ლუსია ჩხენკელმა 11 გრამი თესლოდან მიიღო 90 კილოგრამი პარკი. ცხაკაიას რაიონის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრმა ოლია სანაიამ აბრეშუმის ჭია 22 დღეში ბამოკვება და 9 გრამი თესლოდან მიიღო 47,6 კილოგრამი კარგი ხარისხის პარკი, ნაცვლად 30 კილოგრამისა. ასეთი მაგალითები ბევრია. საჭიროა ფართოდ გამოვიყენოთ მოწინავეი მეაბრეშუმეთა გამოცდილება და მოსულ ვადებში, სულ მცირე 25-30 დღის განმავლობაში დაეამთავროთ ჭიის გამოკვება.

არ შეიძლება ითქვას, რომ ჭიას ყველგან მზრუნველობით უვლიდნენ. მაგალითად, ჩხოროწყუს რაიონის კოლმეურნეობა „ბოლშევიკის" ცალკეულ მეაბრეშუმეებს ჭია მოთავაზებელი ჰყავთ ცუდ ადგილას. წყალენჯიხის რაიონის სოფელ ნაკოფეს კოლმეურნეობის წევრმა ტ. მალაშხიაშ ბებერ სქლად მოთავსა, ჩაფრები ერთმანეთზე შეაწყო. ასეთი ფაქტები სხვაგანაც არის. ოფლის აგრონომიული პერსონალი ვალდებულია მეტი კონტროლი და დახმარება გაუწიოს მეაბრეშუმეებს.

უკანასკნელ პაკაკში აბრეშუმის ჭიას მეტი მოვლა ესაჭიროება. სწორი კვებაა გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მოსავლიანობის ასამაღლებლად. საჭიროა ჭია კვებაონ ხშირ-ხშირად. ამით მცირდება გამოკვების დრო, მაშასადამე, ადრე თავისუფლდება მეშაოელი, რომელსაც კოლმეურნეობა სხვა მიმდინარე სასოფლო-სამეურნეო საქმეთაოთა შესასრულებლად გამოიყენებს.

ალეიერებელია უზრუნველყოფთ თუთის ნარეკვთა სწორი ეკსპლოატაცია, აგროტექნიკური ვადებში დავამეშოთ და სათეკოსოდ მოეუაროთ თუთის თვითეულ ხეს. დიდი მნიშვნელობა აქვს თუთის ფოთლის მომზრნერობთან გამოყენებას აბრეშუმის ჭიის გამოსაკვებად. თვითეული კოლმეურნეობა და მეაბრეშემე მთავლია ^ ზრუნოს ჭიის ხაკვები რესურსების მთლიანად გამოყენებისათვის, საჭიროო შეუთხვევაში ენერგიული ზომები მიიღოს დაბალსიანი ფოთლის სხვა რაიონებიდან შემოსაზიდად. ფოთლის გადაწყლეტის საკითხს მეაბრეშუმეობის მუშაკებმა სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციონ.

სერიოზული ამოცანები დგას აბრეშუმის პარკის დამაზადებელი ორგანიზაციების მუშაკთა წინაშე, ჩვენს ხელთ არსებული მასალები მოწმობენ, რომ ზოგან ჯერ კიდევ არ შეუგნიათ ეს ამოცანა და აკვიანებენ ტუნეკიერი ბაზის ტესრიგში მოყვანას. ხიბის რაონის ხიბულის პარკის მიმღები პუნქტის რეშონტი ჭიანურდება, ხოლო ბალის რაიონის სოფელ ოტობაიის მიმღები პუნქტის რეშონტი დღემდე არც კი დაფწყაოთ. წალენჯიხის რაიონის სოფელ ფაბულანის მიმღებ პუნქტს ადგილობრივი ^ მუშაკები „ამინლის" დავით ნაუფაის-ძეს, სამობრ საწარმოთა მშენებლობის სამინისტროს მთავარ მეანეს ^ ^ ^

კრიტიკა და თვითკრიტიკა საბჭოთა საზოგადოების განვითარების კანონია

(თვითკრიტიკის შესახებ საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1928 წლის 3 ივნისის მიმართვის 20 წლისთავის გამო)

I

საბჭოთა სოციალისტური საზოგადოების ახასიათებენ კანონზომიერებანი, რომლებიც ძირფესვიანად განსხვავდებიან კაპიტალისტური საზოგადოების კანონზომიერებათაგან.

მარქსმა და ენგელსმა გამოარკვიეს, რომ სოციალიზმამდელი ყველა საზოგადოებრივი ფორმაციის მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს კლასობრივი ბრძოლა. ვ. ი. ლენინმა გაამდიდრა მარქსიზმი ახალი მონაცემებითა და დასკვნებით სოციალიზმის შესახებ, მისი აშენების გზების, მისი განვითარების კანონზომიერებათა და მამოძრავებელი ძალთა შესახებ. ამხანგმა სტალინმა შემდგომ განავითარა მარქსიზმ-ლენინიზმი მოძღვრება საზოგადოების განვითარების მძლავრი ძალის როლი. „ჩვენს საბჭოთა საზოგადოებაში, — ამბობს ამხ. ჟდანოვი, — სადაც ლეგიტიმურებელი არიან ანტაგონისტური კლასები, ბრძოლა ძველსა და ახალს შორის, და, მაშასადამე, განვითარება დაწინდან უმაღლესისაკენ სწარმოებს არა ანტაგონისტური კლასების ბრძოლის და კატაკლიზმების ფორმით, როგორც ეს კაპიტალიზმის დროს ხდება, არამედ კრიტიკისა და თვითკრიტიკის ფორმით, რომელიც წარმოადგენს ჩვენი განვითარების ნამდვილ მამოძრავებელ ძალას, მძლავრ იარაღს პარტიის ხელში. ეს უფლად არის მოძრაობის ახალი სახე, განვითარების ახალი ტიპი, ახალი დიალექტიკური კანონზომიერება“.

კრიტიკა და თვითკრიტიკა, როგორც ახალსა და ძველს შორის ბრძოლის ფორმა, როგორც განვითარების მამოძრავებელი ძალა, ახასიათებს მხოლოდ საბჭოთა საზოგადოებას. კრიტიკა და თვითკრიტიკა წარმოადგენს სსრ კავშირში ახალი სოციალისტური ურთიერთობის ცოცხალ, კონკრეტულ გამოხატულებას, საზოგადოებრივი დაინტერესების ისეთ გამოვლინებას, როცა ყოველი ადამიანის მუშობის უდიდესი სარგებლობა მოაქვს.

კრიტიკა და თვითკრიტიკა სსრ კავშირში მასობრივ ხასიათს ატარებს. საბჭოთა სახელმწიფო, როგორც ახალი ტიპის სახელმწიფო, ემყარება პოლიტიკურ ცხოვრებაში, ხალხის ფართო მასების მუშმივ, აუცილებელ და გადამწყვეტ კრიტიკა და თვითკრიტიკა საბჭოთა დემოკრატიისაგან განუყოფელია.

კრიტიკა და თვითკრიტიკა ადუღებებს საბჭოთა საზოგადოების ყველა სხვა მამოძრავებელ ძალებს. მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა, ხალხთა მეგობრობა, საბჭოთა პატრიოტიზმი ეთორეებინან ამ სინესლეთა და წინააღმდეგობათა დაძლევის საფუძველზე, რომელნიც არსებობენ და წამოიჭრებიან ჩვენს ეზაზე, ყოველივე ამის წინააღმდეგ ბრძოლაში, რაც რეკაციულია და დრომოძველია.

კრიტიკა და თვითკრიტიკა განამტკიცებს საბჭოთა ხალხის მორალურ-პოლიტიკურ ერთიანობას, ვინაიდან გვეხმარება უფროსებსა და რეტროსნის თავიდან მოცილებაში, იმ ამოლიტიკურობისა და უიდეობის დაძლევაში, რომელიც ჯერ კიდევ არსებობს საბჭოთა საზოგადოების უმნიშვნელო ნაწილში. საბჭოთა პატრიოტიზმის ბაღალი პრინციპები ნებას არ იძლევიან შეეფრიგდეთ ნაკლოვანებებს, ნებას არ იძლევიან თავი დავიმშვიდოთ მიღწეულით. ისინი წარმართავენ ჩვენს ადამიანებს საბჭოთა სამშობლოს ძლიერების გადიდებისათვის საბრძოლველად.

„კრიტიკა და თვითკრიტიკა ის გასაღებია, რომლის საშუალებითაც ჩვენ ბიმოვაჩენთ და ბიმოფხვრით სოციალისტური შრომეტაობის ნაკლოვანებებს და მივიწევთ წინ. ამაშია ჩვენი პროგრესის საიდუმლოება“ (ი. სტალინი).

ლენინ-სტალინის პარტია ის პარტიაა, რომელიც მოქმედებს მოწინავეი მარქსისტული თეორიის საფუძველზე, რომელისთვისაც უცხოა რაიმე უფროსობა და რუტინა. პარტია უარმყოფს დროიმუმშვილ და ამკვიდრებს ახალს, მოწინავეს. პარტია არ იწყნარებს თავგანაცლებას, მკეეხარობას, თვითდამშვიდებას. იგი ძლიერია იმით, რომ არ ეშინია ილაპარაკოს თავის ნაკლოვანებებზე და თვითკრიტიკის გზით დასძლიოს ისინი. კრიტიკა და თვითკრიტიკა ბოლშევიზმის იდეურ ძლიერების გამოხატვაა.

„პარტია უძლეველია, თუ მას არ შეშინა კრიტიკისა და თვითკრიტიკისა, თუ იგი არ ჩქმალავს თავისი შუმთა-ბის შეცდომებსა და ნაკლოვანებებს, თუ იგი ისწავლის და ზრდის კადრებს პარტიული მუშაობის შეცდომებზე, თუ მას შესწევს უნარი დროულად გამოასწოროს თავისი შეცდომები.

პარტია იღუპება, თუ იგი ფარავს თავის შეცდომებს. აფუფრეგს ბტკვნეულ საკითხებს, ფარავს თავის ნაკლოვანებებს კეთილდღეობის ყალბი პარადხი. ვერ იმეხს კრიტიკასა და თვითკრიტიკას, იმსჯელება თვითმაყოფილების გრძნობით, ეძლევა თავშეყვარეობის გრძნობად და განცხრომას“. (საკავშირო კ. კ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი).

თვით ჩვენი პარტიის ბუნებიდან, მისი რეკოლუციური სულიკვეთებიდან გამომდინარეობს ბოლშევიკური შეურიგებლობა ნაკლოვანებებისადმი. კრიტიკისა და თვითკრიტიკის მეთოდი, რომელსაც ლენინ-სტალინის პარტია თავისი ისტორიის მთელ მანძილზე იყენებს, გაამარადოთ თავისი დანიშნულება და მოგვცა შესანიშნავი შედეგები, რომელთაგან ერთ-ერთი ადამიანთა მთელი თაობის აღზრდა ბოლშევიზმის სულისკვეთებით. „თვითკრიტიკა არის განსაკუთრებული მეთოდი, ბოლშევიკური მეთოდი პარტიისა და საერთოდ მუშათა კლასის კადრების აღზრდისა რეკოლუციური განვითარების სულისკვეთებით“. (სტალინი).

ბოლშევიკის თვისებაა, სადაც უნდა მუშაობდეს იგი, უნარი — ყური უგდოს მასების საკ კრიტიკას. „ზნირად მოითხოვენ, — ამბობს ამხანგი სტალინი, — რომ კრიტიკა სწორი იყოს ყველა პუნქტში, ხოლო თუ იგი ყველაფერში არ არის სწორი, იწყვიტენ მის ლაპარაკსა და გმობას. ეს სწორი არ არის, ამხანაგებო. ეს სამში შეცდომაა... ამით თქვენ ბოსპობთ ქვეძოდან ყოველგვარი კრიტიკის შესაძლებლობას, ყოველგვარი თვითკრიტიკის შესაძლებლობას“.

ბოლშევიკების პარტიამ არა მარტო ფასობა თავისი მუშობის ძირითად მეთოდად კრიტიკა და თვითკრიტიკა, არამედ კიდევაც გადაამეცა ეს მეთოდი საბჭოთა საზოგადოების განვითარების კანონად, შეიარაღია საბჭოთა ხალხი უდიდესი სიმძლავრის მამოძრავებელი ძალით.

II

მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა საბჭოთა საზოგადოებისა, რომელიც ვითარდება ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით, სრულიადაც არ ნიშნავს, რომ სსრ კავშირის განვითარება ხდება წინააღმდეგობათა გარეშე, ძველის წინააღმდეგ ახლის ბრძოლის გარეშე. განვითარება შეუძლებელია წინააღმდეგობათა წარმოშობისა და დაძლევის გარეშე. ამხანგი სტალინი გვასწავლის, რომ ბრძოლა ახალსა და ძველს შორის, დრომოძველმა და განვითარების პროცესში მყოფს შორის საბჭოთა საზოგადოების განვითარების კანონს წარმოადგენს. მაგრამ ბრძოლა ახალსა და ძველს შორის არ იქცევა ანტაგონისტურ ბრძოლად, ვინაიდან ჩვენს ქვეყანაში არ არსებობენ მტრული კლასები მათი ურთიერთსაწინააღმდეგო ინტერესებით. კაპიტალისტურ საზოგადოებაში კი ახასიათებს არა მარტო ანტაგონისტური ფორმა წინააღმდეგობათა გამოვლინებისა, არამედ ამ წინააღმდეგობათა გადაკრის ანტაგონისტური წესიც. ექსპლოატატორები და ექსპლოატირებულნი ბასოლუტურად მტრული არიან ერთმანეთისადმი და მათ შორის ბრძოლა მხოლოდ რევოლუციით გადაჭრება.

სოციალიზმის დროს ძირითად წინააღმდეგობას წარმოადგენს წინააღმდეგობა მასების მთლიანი ნაწილისა უსაზღვრო ზრდასა და საწარმოო ძალების განვითარების იმ დონეს შორის, რომელიც მიღწეულია ყოველ მოცემულ პერიოდში. ეს წინააღმდეგობა, რომელიც მუდამ გადაიჭრება და ქმნის წარმოიშობა, თვითონ წარმოადგენს მამოძრავებელ ძალას. სოციალიზმის დროს წარმოების განვითარების ერთ-ერთ სტიმულს.

კრიტიკა და თვითკრიტიკა ხელს უწყობს იმ წინააღმდეგობის გადაჭრას იმით, რომ აღმოაჩენს საბჭოთა საზოგადოების განვითარების ტემპების დაჩქარებისა და მის ბრაგ მატერიალურ და სულიერ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების ახალ და ახალ წყაროებს.

ჩვენს პარტიას უნარი აქვს გაითვალისწინოს საზოგადოებრივი განვითარების მსვლელობა, დროულად ააშკარავებს წამოჭრილი წინააღმდეგობებს და შეგნებულად წარმართავს ხალხის ძალებსა და ნებას ამ წინააღმდეგობათა დასაძლევად. შესანიშნავ მაგალითს წარმოადგენს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „კოლმეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დარღვევის ლაგდადაცის ღონისძიებათა შესახებ“. წესდების მრავალი დარღვევა საკოლმეურნეო ცხოვრების თვით საფუძვლის ეწინააღმდეგებოდა. ცხადია, პარტიას რომ არ გამოეტანა ასეთი ნებანი ეს წინააღმდეგობანი, არ დაეჩაზმა კოლმეურნენი მმო დასაძლევად, საკოლმეურნეო წყობილებისათვის სერიოზული საფრთხე შეიქმნებოდა.

ამხანაგ სტალინს ეკუთვნის სოციალისტური შეჯიბრების საკითხის, ჩრდილოეთ სოციალისტური საზოგადოების ეკონომიური განვითარების ერთ-ერთი მამოძრავებელი ძალის ყოველმხრივ დამუშავება. სოციალისტური შეჯიბრების მსვლელობაში ბევრი ინიციატივა, რომელიც მიმართულია უმოძრაობისა და ტრენის წინააღმდეგ, შრომის მოძვალიბული მეთოდებისა და ნორმების წინააღმდეგ.

სოციალისტური შეჯიბრებაში მაკეთილი იჩენს თავს პრინციპული განსხვავება ძველთან ბრძოლისა, რაც სოციალიზმს ახასიათებს, იმ ანტაგონისტურ წინააღმდეგობათაგან, რომელნიც ახასიათებენ კაპიტალიზმს. „სოციალისტური შეჯიბრება და კონკურენცია ორ სრულიად განსხვავებულ პრინციპს წარმოადგენენ, — გვასწავლის ამხანაგი სტალინი, — კონკურენციის პრინციპია: **ერთის დამარცხება და სიკვდილი**, მეორის გამარჯვება და ბატონობა. სოციალისტური შეჯიბრების პრინციპია: მოწინავეების მხრივ ამხანაგური **დახმარება** ჩამორჩენილებისადმი, რათა მიღწეულ იქნას **საერთო** აღმავლობა. კონკურენცია ამბობს: **ჩაჭყლეტ ჩამორჩენილნი**, რათა განამტკიცო შენი ბატონობა. სოციალისტური შეჯიბრება ამბობს: ერთნი მუშობენ ცუდად, მეორენი კარგად, მესამენი უკეთესად — **დაეწიე უკეთესებს** და მიაღწიე **საერთო აღმავლობას**“.

კონკურენცია გამოხატავს საზოგადოების წევრთა განკერძოებულობას, თვითეულის ბრძოლას თავისთვის და ყველას წინააღმდეგ; სოციალისტური შეჯიბრება გამოხატავს კოლექტივის ყველაზე, ერთიანობას საერთო ინტერესთა ბრძოლაში, წარმოადგენს იმ ადამიანთა ბრძოლის ახალ ფორმას, რომელსაც ამხანაგური სოლიდარობა ურთიერთობა აქვთ, რომელნიც მთელი ხალხის ინტერესთა შეგნებამდე ამაღლდნენ და ამიტომ ეს ბრძოლა მტრული განსწყობილებისა გრძნობებსა და ურთიერთობას არ ატარებს.

ჩვენს საზოგადოებაში არსებობს წინააღმდეგობა გამაბოლებელ სოციალისტურ საწარმოო ურთიერთობასა და ადამიანთა შეგნებაში „კაპიტალიზმის ნაშთებს შორის. ეს ნაშთები თავს იჩენენ ცხოვრების სხვადასხვა დარგში: პირადი ინტერესების დაპირისპირებით საზოგადოებრივი ინტერესებისადმი, შრომის სოციალისტური დისციპლინის დარღვევით, კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მიწებისა და საზოგადოებრივი საკუთრების დატაცებით და სხვ.

ჩვენს ქვეყანაში ექსპლოატატორი კლასების ნაშთების, განადგურებისა და ლიკვიდაციის შემდეგ საერთაშორისო ბურჟუაზიამ დაკარგა ყოველგვარი მატერიალური დასაყრდენი საბჭოთა კავშირის შიგნით. მით უმეტეს მიისწრაფვის იგი თავისი მიზნებისათვის გამოიყენოს იდეოლოგიური საშუალებანი — კაპიტალიზმის ნაშთები საბჭოთა ადამიანებს შეგნებაში, ეკრძო მესაკუთრული ფსიქოლოგიის ნაშთები, ბურჟუაზიული მორალის ძველი (ოჯახისადამი, ქალისადმი დამოკიდებულებაში), ცალკეული ინტელიგენციის ქედმეხრა დასავლეთის ბურჟუაზიული კულტურის წინაშე, ბურჟუაზიული ნაციონალიზმის გამოვლინებანი და სხვ.

კაპიტალიზმის ნაშთები ადამიანთა შეგნებაში არ შეიძლება არ აფეიზებდნენ საბჭოთა საზოგადოების განვითარებას, შეუძლებელია განვახორციელოთ კომუნისმაკენ წინსვლა, თუ არ გავეარეთ ყოველივე ამის კრიტიკა, რაც ხელს უშლის ამ წინსვლას.

შრომელთა კომუნისტურ აღზრდას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ამჟამად, როცა სწარმოებს გაფფიერებული ბრძოლა იმპერიალისტური რეაქციის ბანაკსა და დემოკრატიისა და სოციალიზმის ბანაკს შორის. ამ ამოცანის გადაჭრაში კრიტიკა და თვითკრიტიკა მოწოდებულია უდიდესი როლი შეასრულოს. ამხანაგი სტალინი გვასწავლის: „უფროვინკრიტიკულად არ შეიძლება პარტიის, კლასის, მასების სწორი აღზრდა“. კრიტიკა და თვითკრიტიკა აუცილებელია მასების ისეთი აღზრდისათვის, როდესაც მოქალაქეთა საზოგადოებრივი მოვალეობა იქცევა საყოველთაო შეგნებულ მოთხოვნილებად, ორგანულ ჩვეულებ, როცა „ადამიანები **მიეჩვევიან** საზოგადოებრივი ცხოვრების ელემენტარული წესების დაცვას **ძალდატანებლივად და დიუმორჩილებლად**“. (ვ. ი. ლენინი).

კრიტიკა და თვითკრიტიკა ადამიანებში გამოიმუშავებს კომუნისტურ მორალს, ნაკლოვანებებისადმი შეურიგებლობას, თავისი და ხეკისადმი მაღალ მოთხოვნილებას, ნერგავს სოციალისტურ დამოკიდებულებას საზოგადოებისა, სამშობლოს, ერთიმეორის მიმართ თავისი მოვალეობის შესრულებისადმი, აჩეკვს სიზუსტესა და დისციპლინირებულ, ბალოსიანზე უმჯობესებს თვისებსა — ჩანასახშივე დანიახო ნაკლოვანებანი და აღმოფხვრა ისინი.

პარტია მტკიცედ უნერგავს კადრებს დაინტერესებას კრიტიკისა და თვითკრიტიკის განვითარებით, ურომლისოდაც წარმოუდგენელია მუშაობის გაუმჯობესება. ბოლშევიკური კრიტიკა აიალებს საბჭოთა ადამიანებს უფრო ზშირად და უფრო სერიოზულად ჩაიყვნენ თავიანთი საქმიანობის შედეგებს, კრიტიკულად შეაფასონ თავიანთი საკუთარი გამოცდილება თვითშემოწმების ფორმითა: ყველაფერი გავაკეთე თუ არა, რაც საჭიროა, ხომ არ შეიძლება დღეს უკეთ ვიმუშაო, ვიღრე გუშინ, ხვალ კი უკეთ, ვიდრე ლეგს?

კრიტიკა და თვითკრიტიკის შეფასებლობა, მიმდამი ობიექტალური დამოკიდებულება არის ერთ-ერთი ყველაზე მაგნ ნაშთი კაპიტალიზმისა საბჭოთა ადამიანების ერთი ნაწილის შეგნებაში. „ვისაც თავისი მუშობის კრიტიკისა ეშინია, — ამბობს ამხ. ჟდანოვი, — ის საზიზღარი ლაჩარია, რომელიც ხალხს მხრივ პატივისცემის ღირსი არ არის“.

III

კრიტიკა და თვითკრიტიკა წარმოადგენს საბჭოთა საზოგადოების არა მარტო მატერიალური, არამედ აგრეთვე სულიერი ცხოვრების განვითარების მამოძრავებელ ძალას. იდეოლოგიურ ფრონტზე ბოლშევიკური კრიტიკისა და თვითკრიტიკის გაჩაღებას საარსებო მნიშვნელობა აქვს. ჩვენს წინაშე დგას ისტორიული ამოცანა: სავსებით და ბოლოამდე ვამხილოთ თანამედროვე ბურჟუაზიული მეცნიერებისა და კულტურის რეაქციული არსი, გამოვაშკაროთ რეაქციულ მოძღვრება წყარონი. „პარტიის იდეოლოგიური მუშაობის მახვილი თანამედროვე პირობებში მიმართულია ბურჟუაზიული იდეოლოგიის ნაშთების განუხრელად დაძლევისაკენ, ყოველგვარი იდეოლოგიური დამაბინძურებლებისადმი ბოლშევიკური შეურიგებლობის გაძლიერებისაკენ“ (გ. მალენკოვი).

ამ ისტორიული ამოცანის გადაწყვეტა შეეძლებელია იდეოლოგიურ ფრონტზე გაბედული, პრინციპული კრიტიკისა და თვითკრიტიკის გაეჩაღებლად.

კრიტიკამ ბოლშევიკური პრინციპულობის უგულებელყოფა სერიოზულ შედეგებს რომ იწვევს, ამაზე მიგვითითებენ საკავშირო კ. კ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებანი იდეოლოგიის საკითხებზე.

თავის ანასწინანდელ დადგენილებაში ე. მურაგელის ოპერა „დიადი მეგობრობის“ შესახებ საკავშირო კ. კ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მოგვცა საბჭოთა კულტურის იდეური სიწმინდისათვის, ლობის პროცესში მყოფი ბურჟუაზიული ხელოვნების გამხრწნელი გავლენის წინააღმდეგ შეურიგებელი და გადამწყვეტი ბრძოლის შესანიშნავი მაგალითი.

გასაკვირია, რომ ანტისახალხო ფორმალისტური მიმართულება საბჭოთა ფუსეალში შეიძლებოდა წარმოშობილიყო მხოლოდ კრიტიკისა და თვითკრიტიკის უქონლობის პირობებში, ერთი მეორე ფორმალისტი კომპოზიტორების ნაწარმოებთა უზომო შექების ატმოსფეროში.

საკავშირო კ. კ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება ააშკარავებს ყოველივე უცხოს ჩვენს ხელოვნებაში და ჰქმნის ხელსაყრელ პირობებს ინსისათვის, რომ საბჭოთა მუსიკა უფრო მდიდარი, მაგიერ, ხალისიანი გახდეს, რომ იგი რეალისტური, ღემოკრატიული ბზით ვითარდებოდეს.

კრიტიკისადმი არაპრინციპული მიდგომამ გამოიწვია ცალკეულ ლიტერატურულ ნაწარმოებთა გადაჭარბებით შეფასება, მათი მეტისმეტი შექება. ასე მოხდა კ. სიმონოვის „უსუსური, მრავალმხრივ მცდარი მოთხრობის „სამშობლოს კვამლის“ დაბეჭდვისას. კრიტიკის არაპრინციპულობა იწვევს ნაწარმოებთა ცალმხრივ შეფასებას. საგულისხმო გაგვეიოლად შეიძლება გამოდგეს ის შეცდომები, რომლებიც დაუშვა ლიტერატურულმა კრიტიკამ ა. ფადეევის რომანის „ახალგაზრდა გვარდიის“ შეფასებისას.

კრიტიკამ ბოლშევიკური პრინციპულობის დარღვევა წარმოშობს წაყარეებისა და უიდეობის, იწვევს თეორიის მოწყვეტას პრაქტიკისაგან.

ფილოსოფიის ფრონტზე კრიტიკისა და თვითკრიტიკის სისუსტემ გამოიწვია ის, რომ ფილოსოფოსები ჩამორჩნენ თანამედროვეობის აქტიურ ამოცანებს.

კრიტიკამ არაპრინციპულობა გამოიხატება აგრეთვე დადებითის ხელაღება უარყოფით, კრიტიკულ ლიტერატურაში იშვიათი რიგია მეტიჩრული შენიშვნები, რომლებშიც ავტორის მიერ დაშვებული რაშდენიმე უხეირო გამოთქმის ან წერილმანი შეცდომის საფუძველზე გამაბადგერებელი უარყოფითი შეფასება ეძლევა მთელ ნაწარმოებს. პრინციპული კრიტიკა შემოქმედებითი კრიტიკაა. საჭიროა, ამბობს ამხანაგი სტალინი, „ეფაცადოთ, რომ კრიტიკა ზედაპირზე კი არ დასრიალებდეს, არამედ სერიოზული ფესვი ეჭიროს“.

პრინციპული კრიტიკა პარტიული კრიტიკაა. მისთვის უცხოა ამოლიტიკურობა და იგი ულმობელია ყოველგვარი ცდებისადმი — შემოაპარონ საბჭოთა სინამდვილეში რეაქციული იდეები. კრიტიკაში პრინციპულობა არის ხალხის, საბჭოთა სახელმწიფოს ინტერესების პირადი, ძმაბიჭური ინტერესებისთან შეეცლისადმი.

მარქსიზმ-ლენინური პრინციპულობა ძირითად მტრულია იმისადმი, რომ მიჩქმალოს და მიიფუჩეჩოს წინააღმდეგობანი, ნაკლოვანებანი, შეცდომები. იგი მიმართულია მათი გამოაშკარავებისა და გადაჭრის დაძლევისაკენ.

კრიტიკა ეძლევა ადამიანებს, ეხმარება, ეფარება, ეფარება, ეფ

პარტიული ცხოვრება

კომუნისტები უხვი მოსავლისათვის ბრძოლის სათავეში

ჩვენი პარტიული ორგანიზაცია 40 კომეწისტს ეერთიანებეს. ეს დიდი ძალაა კოლმეურნეობაში. პარტბიური განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს სამეურნეოთა ხასიათის მიხედვით კომუნისტების სწორად განაწილებას. ჩვენთან არ არის კოლეკტიური მეურნეობის ისეთი დარგი, სადაც კომუნისტები არ მუშაობენენ, მათი დამრიგებელები, ავანგარდული ძალა არ სრულეს. პარტიული ორგანიზაციის კრებებზე სისტემატურად ვიხილავთ საკოლეურნეო მშენებლობის საკითხებს, საპრიორიტეტო მიზედვით ჩვენს პრაქტიკულ წინადადებებს ვაყენებთ კოლეკურნეობის გამგეობის წინაშე, კოლმეურნეობია გაძეკიბა კი, რომლის თავმჯდომარეა ლენინის ორდენოსანი კომეუნისტი კ. ჯოჯუა, ყოველთვის მხარს უჭერს პარტიული ორგანიზაციის სამეიან წინადადებებს. ამის შედეგია, რომ კოლმეურნეობა ვანუხრლად მიღის ფიმპიელობის გზით.

ჩვენ მნიშვნელოვანი წარმატებებით დავამთავრეთ გასული სამეურნეო წელი. შარშან 449 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიღებულ იქნა 21,7 ცენტნერი სიმინდი, ხოლო ცალკეულ სტახანოვურ ჰექტარებზე 71,3—76,3 ცენტნერი. სსრ კავშირის მთავრობამ მადალი შეფასება მისცა ჩვენი არტელის კოლეეურნეთა შრომას და 3 მოწინავე მერგალური სოციალისტური შრომის გმირის სპპატონო წოდება მიანიჭა, ხოლო 14 კოლმეურნე დაჯილდოებულ იქნა სსრ კავშირის ორდენებით და მედლებით. პარტიული ორგანიზაციის სასახელოდ უნდა თქვას, რომ 40 კომეუნისტიდან 3 სოციალისტური შრომის გმირია, ხოლო 9 დაჯილდოებულია ორდენებით და მედლებით.

უკარტიო კოლეეურნეები კომუნისტებში საკოლეეურეო შრომის ნამდვილ ორგანიზატორებს ხედავენ. მათ მიმყვებიან უხვი მოსავლისათვის ბრძოლაში, დარწმუნებული არიან, რომ კომუნისტების წინამძოლობით წელს უკეთეს წარმატებებს მოიპოვებენ, ვიდრე შარშან.

მიუხედავად არახელსაყრელი ამინდისა, 450 ჰექტარ ფართობზე თესვა ძირითადად დამთავრებული გვაქვს. კოლმეურნეებმა იკისრეს სანიმუშოდ მოყარონ ნთოსუბს, თოხნა ჩაატარონ თითბჯერ, წუნწუხით დამატებით გამოკვება სამჯერ და წელს 190 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიღონ 100 ცენტნერი სიმინდი, 44 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 45 ცენტნერი, 70 ჰექტარისაზე—35 ცენტნერი, 95 ჰექტარისაზე—33 ცენტნერი, ხოლო 50 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 25 ცენტნერი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 19 ცენტნერისა. კოლეეურნეობაში ფართოდ არის გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრება ნაკისრი ვალდებულებათა განაღდებისათვის. სოციალისტური შეჯიბრების სათავეში კომუნისტები არიან.

სოციალისტური შრომის გმირის კომეუნისტე გ. ბოლქვაძის რგოლში ნიადაგის ხვნა 16-18 სანტიმეტრის სიღრმეზე ჩაატარა, თვითეულ ჰექტარზე 40-45 ტონა ნაკელი შეიტანა და თესვის წინ ნოხელი ორჯერ ითმა. ამ რგოლის წევრებმა იკისრეს სიმინდის დამატებით გამოკვება ჩაატარონ სამჯერ, თოხნა ოთხჯერ და 10 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანონ 100 ცენტნერი სიმინდი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 19 ცენტნერისა. ასეთივე ვალდებულება იკისრა სოციალისტური შრომის გმირმა მერგალოური კომეუნისტმა ვ. ტოტოჩიან. გადიდებული ვალდებულებანი იკისრეს აგრეთვე კომეუნისტმა ბრიგადირებმა და მერგალოურებმა კ. გუგუშვილმა, ნათელა კუციამ, ნ. გუგუშვილმა, ა. კუციამ და სხვებმა.

ჩვენთან განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სოციალისტური შრომის გმირების მუშაობის მეთოდების პოპულარიზაციას და დანერგვას. ვაწყობთ სოციალისტური შრომის გმირების საუბრებს მათს გამოცდილებაზე, რის შედეგადაც სტახანოველ კოლეეურნეთა რიგები მნიშვნელოვნად გაიზარდა.

პარტიული ორგანიზაცია სერიოზულ პოლიტიკურ მუშაობას ეწევა კოლეეურნეთა შორის. სისტემატურად ვატარებთ კოლმეურნეთათვის ლექციებს, მოხსენებებსა და საუბრებს ჩვენი ქვეყნის წარმატებებსა და საერთაშორისო პოლიტიკის საკითხებზე. კოლეეურნეთა საერთო კრებებზე პოლიტიკური მოხსენებებით ხშირად გამოდიან რაიონის ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა მუშაკები. ამას წინით პოლიტიკური მოხსენება თემაზე „თანამეგზაროვე მოძენტი და ჩვენი ამოცანები“ წაიკითხა საქართველოს კ. ა. (ბ) ბაბშის რაიკომის მდივანმა ამხ. ს. ებრალიძემ.

კომუნისტი იგიტატორები ტ. კუკია, ვ. გუგუშვილი, გ. ბოლქვაძე, ნ. კუკია, და სხვები ხშირად ატარებენ საუბრებს კოლეეურნეებთან სსრ კავშირის სამინაო და საგარეო პოლიტიკის საკითხებზე, სისტემატიურად უშვებენ ავრეთვე საველე გაზეთებს ბრიგადებსა და რგოლებში.

პარტიული ორგანიზაცია სერიოზულ ყურადღებას აქცევს კომეუნისტების პოლიტიკური განათლების საქმეს. ამ მიზნით ჩვენთან შექმნილია პოლიტსკოლა, რომელშიც 32 კომეუნისტია გაერთიანებული, ხოლო 8 კომეუნისტი დამოუკიდებლად მუშაობს თავისი იდეურ-პოლიტიკური დონის ასამაღლებლად.

სუფეველი კოლეეურნეებეი ენერგიულად შრომობენ ნაკისრი ვალდებულებათა განაღდებლადაც. კოლეეურნეთა შრომის სათავეში კომეუნისტები უდგანან.

დ. გუგუშვილი

ბაბშის რაიონის სოფელ სუფეფნის ორგანიზაციის სახელობის კოლეეურეობის ბრიგადა ლენინ პარტიული ორგანიზაციის მდივანი

სოციალისტური შეჯიბრება პროფესიების მიხედვით

შეჯიბრების მიმდინარეობის მაისის შედეგები

სტალინის სახელობის ქარხანა

**ქარხნის მეედლებს შორის შეჯიბრებაში ყველაზე მაღალი მაჩვენებლები აქვთ კ. ილურიძეს და ვ. ესებუას. თვითეულმა მათგანმა თვიური დავალება 320 პროცენტით შეასრულა. დანარჩენი სტახანოველი მეედლებიდან საუკეთესო მაჩვენებლები აქვთ ვ. გამხუაშვილს (316 პროცენტი), ხ. ამბარაკო

ისრაელის სახელმწიფოს მთავრობის პასუხი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს წინადადებებზე

ტელ-ავივი, 1 ივნისი. (საკუთრ.). დღეს სალამის რადიოსაკუთრება „ისრაელის ხმამ" გადასცა იმ ოფიციალური განცხადების ტექსტი, რომელიც ისრაელის სახელმწიფოს მთავრობამ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გაუგზავნა:

„ისრაელის დროებითმა მთავრობამ განიხილა უშიშროების საბჭოს 1948 წლის 29 მაისს მიღებული რეზოლუცია, რომელიც თვალსაჩინებს სამოქალაქო მოქმედების შეწყვეტის საკითხებში 4 კვირით, როგორც არაბების, ისე ებრაელების პოზიციების შეეცდიალოდ. დროებითმა მთავრობამ გადასწყვიტა გამომცხადო